დაწართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში
მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საბაკალავრო პროგრამა "მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია"

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

თბილისი
2026

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. როგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 12

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 34

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 37

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ადრიან ჰედლენდი, სტირლინგის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი დალი ოსეფაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ღაჭავა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Multimedia Journalism and Communication
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული (2 წელი) აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 0 24 0001443755; თარიღი: 11/11/2024
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	არ ეხება

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	არ ეხება

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შესაფასებელი საბაკალავრო პროგრამა "მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცი" ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხორციელდება. უნივერსიტეტი არის არაკომერციული სასწავლო დაწესებულება, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, საქართველოში. იგი ამავდროულად, შედის ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოქმედი მრავალპროფილური ჯგუფის შემადგენლობაში, რომლის საქმიანობის მიმართულებები მოიცავს როგორც ჯანდაცვისა და დაზღვევის, ისე კინოწარმოების სფეროებს. პროგრამას 2024 წელს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1443755), როგორც მულტიმედიური ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას. თუმცა, მას შემდეგ, შეფასების ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და განხორციელდა მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია.

წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის თანახმად, საქართველოში კვლავ შეინიშნება თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური უნარების მქონე კურსდამთავრებულების დეფიციტი, ეს უნარები კი აუცილებელია თანამედროვე მედია ინდუსტრიაში დასაქმებისთვის. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახლად ამოქმედებული 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სამი წლის განმავლობაში დააგროვებენ 180 კრედიტს. კრედიტები დადგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. აღნიშნული კრედიტების დასაგროვებლად განსაზღვრულია 6 სემესტრი, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2026 წლის 1 ივნისს უნივერსიტეტს აცნობა (წერილი №646941), რომ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია 180 კრედიტის ფარგლებში.

პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტები გადიან ზოგადი კომპეტენციებისა და მედია კომუნიკაციის ძირითადი ბლოკების სასწავლო კურსებს (30 კრედიტი, მათგან 18 სავალდებულო), რომლებიც უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების საფუძვლების განვითარებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 60 კრედიტი მედია კომუნიკაციების საფუძვლების სავალდებულო კომპონენტში, 6 კრედიტი უცხო ენაზე კომუნიკაციისა და დარგობრივი კომპეტენციების კომპონენტში, 72 კრედიტი პროფილის განმსაზღვრელ ძირითად მოდულებში და 12 კრედიტი არჩევით მოდულებში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგის კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც აქვს აკადემიური ხარისხი და ფართო პრაქტიკული და კვლევითი გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პირი, მათ შორის 12 აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 7 ფლობს შესაბამისი დარგის კვალიფიკაციას; 5 აკადემიური პერსონალი და 16 მოწვეული პერსონალი.

გარკვეულწილად გადაიხედა განახლებული პროგრამის სამი ძირითადი მიზანი. ამჟამად პროგრამის მიზანია: მედიაკომუნიკაციის სფეროში კურსდამთავრებულს მისცეს პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი ფართო ცოდნა და უნარები პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად; გამოკვეთოს მედიისა და კომუნიკაციების სპეციალისტის როლი და მისია; დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვადასხვა ციფრული პლატფორმის შესაბამისი ეთიკური ნორმებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა; და განუვითაროს თვითშეფასებისა და მუდმივ თვითგანვითარებაზე ზრუნვის უნარი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 ივლისს, უნივერსიტეტის შენობაში, თბილისში. ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის თვითშეფასების ანგარიში, შრომის ბაზრის კვლევა, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, პერსონალის სიები, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, პროგრამის სილაბუსები და პროგრამის რუკები. ადგილზე ვიზიტის შემდეგ, მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის საერთაშორისო თავმჯდომარე შეფასების პროცესს დისტანციურად, გაერთიანებული სამეფოდან ესწრებოდა, ჯგუფის წევრებმა მთელი დღის განმავლობაში ჩაატარეს ინტერვიუები და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან (თუმცა არა მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულებთან, ვინაიდან პროგრამა მხოლოდ ორი წელია ხორციელდება) და მოქმედ სტუდენტებთან. მართალია, ვიზიტის დღეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ჯგუფის მხოლოდ ქართველმა ექსპერტებმა დაათვალიერეს, რადგან ჯგუფის თავმჯდომარე თბილისში არ იმყოფებოდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ, პირველადი აკრედიტაციის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტის დროს, იგი პირადად იმყოფებოდა უნივერსიტეტში და შესაბამისად, იცნობს როგორც დაწესებულებას, ისე მის მდებარეობას.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სამონტაჟო ლაბორატორიები (editing suites), სტუდია და კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები. 2024 წელს უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაპირებები, რომ პროგრამისათვის სასწავლო სივრცეების მომზადება და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა დასრულდებოდა, 2026 წლის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა და დადასტურდა. . აღსანიშნავია, რომ 2024 წელს პროგრამის ძირითადი ინფრასტრუქტურის განთავსებისთვის განკუთვნილი შენობა ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო.

ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა ნიუ ვიჭენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მაღალი მოტივაცია და ენთუზიაზმი პროგრამის შინაარსისა და მიზნების მიმართ, ასევე მათი პოზიტიური მოლოდინი პროგრამის კურსდამთავრებულებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი ასევე მადლობას უხდის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) პროფესიონალ გუნდს, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია ჯგუფს შეფასების პროცესის მომზადებასა და განხორციელებაში. ასევე აღსანიშნავია კვალიფიციური თარჯიმნის მიერ გაწეული მხარდაჭერა, რომელმაც ჯგუფის თავმჯდომარესა და ინტერვიუს მონაწილეებს საშუალება მისცა კომუნიკაცია მათთვის სასურველ ენაზე წარემართათ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტი „საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები“ (სტანდარტი 1), რომელიც 2024 წელს პროგრამისთვის ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო, ამჟამად სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა

ჯგუფმა გასცა სამი რეკომენდაცია (ორი 2.4 კომპონენტთან და ერთი 5.1 კომპონენტთან დაკავშირებით) და ოთხი რჩევა (1.5, 2.2, 3.1 და 4.1 კომპონენტებთან დაკავშირებით), ჯგუფის საერთო შეფასებით, განსახილველი საბაკალავრო პროგრამა "მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია" შეესაბამება სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას (2.4).

  - რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს შეფასების დეტალური რუბრიკები და ამომწურავი ინფორმაცია შეფასების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას (2.4).

  - რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა/ერთეულებმა სისტემატურად და ეფექტიანად განახორციელონ პროგრამისა და სილაბუსების სიღრმისეული ანალიზი, რათა დროულად გამოავლინონ და თავიდან აიცილონ შესაძლო ხარვეზები (5.1).

- **რჩევები**

  - ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამისთვის ქართულ ენაზე გარკვეული რესურსები უკვე შეძენილი ან შემუშავებულია. თუმცა სასურველია, სწავლების განმახორციელებელმა გუნდმა უზრუნველყოს პროგრამისთვის საკმარისი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; სასურველია, პროგრამის თითოეული მოდულისთვის ხელმისაწვდომი იყოს ქართულენოვანი საკითხავი მასალა ან სასწავლო რესურსების კრებული (reader/handout) (1.5).

  - სასურველია, პროგრამაში, სულ მცირე, არჩევითი კომპონენტის სახით ინტეგრირებული იყოს პრაქტიკა (სტაჟირება), რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის კავშირს ინდუსტრიასთან (2.2).

  - სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყოს კონკრეტული საკონსულტაციო საათები, რაც სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უკუკავშირისა და კონსულტაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს (3.1).

  - სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების უფრო მეტი აკადემიური პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (4.1).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

  არ ეხება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

უნივერსიტეტმა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა (NVU), ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით განიხილა. უნივერსიტეტი დაეთანხმა ანგარიშში მოცემულ ოთხი რეკომენდაციიდან ორ რეკომენდაციას: დეტალური რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ (2.4) და სასწავლო სილაბუსების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ (5.2). რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, უნივერსიტეტმა მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი — პროგრამის სილაბუსებში წინაპირობების მითითება — უკვე მოწესრიგებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, უნივერსიტეტის განმარტებით „სტუდენტისათვის თავად პროგრამაშივეა ხელმისაწვდომი აღნიშნული წინაპირობები“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია აღარ არის აქტუალური. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება, რომ აკადემიური საბჭოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ რეკომენდაციის საჭიროება აღმოფხვრა და, შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა. უნივერსიტეტმა არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო რეკომენდაცია პლაგიატის საკითხთან დაკავშირებით (2.4). უნივერსიტეტმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მზად არის, მიიღოს დამატებითი ზომები სტუდენტებში პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ამჟამად მოქმედი მექანიზმები „სრულად შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან. ამგვარად, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ დამატებითი რეკომენდაციის გაცემა საჭირო არ არის. თუმცა, საკითხის განხილვისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი კვლავ მიიჩნევს, რომ სტუდენტებს პლაგიატის შესახებ ცოდნისა ნაკლებობა აქვთ და, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ არსებული პროცესები და მექანიზმები არასაკმარისია. როგორც ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა: „პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა ერთია, ხოლო მისი რეალური ფუნქციონირება — მეორე. კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც კვლევით ნაშრომებზე ან თეზისებზე უმუშავიათ, უნდა შეეძლოთ პლაგიატის განსაზღვრა და მისი არსის გააზრება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს აღნიშნულ რეკომენდაციას და საკითხის საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად მიმართავს საბჭოს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.**

შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა და გააანალიზა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშში და სხვადასხვა დოკუმენტებში. თვითშეფასების ანგარიშის გარდა, წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტები:

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია საგნის/საგნების მითითებით
- აკადემიური პერსონალის პერსონალური მონაცემები (CV) (პირადი ფაილები, სამეცნიერო ნაშრომები, სწავლებაში ჩართული პირების პუბლიკაციები);
- აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვა
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების ანალიზი (2019-2024)
- შიდა ხარისხის შეფასების სემესტრული ანგარიში (2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი)
- სხვადასხვა სკოლისა და ადმინისტრაციული ერთეულის საქმიანობის წლიური ანგარიშები.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციულ-მხარდამჭერი პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები.
- სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები
- ფოკუს ჯგუფების ანგარიშები
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასების შედეგები
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, კერძოდ:

პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა

1. პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა: 12 აკადემიური პერსონალი, 9 სტუდენტი. თანაფარდობა - 1:1.33;
2. პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა: 33 პერსონალი, 9 სტუდენტი. თანაფარდობა - 2:3.67;
3. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი - 17, მოწვეული პერსონალი - 16. თანაფარდობა - 3:1.06;

სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები

1. საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები - 90;
2. ადგილობრივ კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები -- 59;
3. საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები – 117;
4. რეცენზირებულ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 131.

პერსონალის გადინების მაჩვენებელი და ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები

1. აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) 0
2. პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა: 30
3. პროგრამაზე ჩრიცხულ სტუდენტთა რაოდენობა: 9

თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

განსახილველ პროგრამას თავდაპირველად 2024 წელს მიენიჭა პირობითი ორწლიანი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 1443755). ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემური სფეროები იყო პროგრამის მიზნები, სტრუქტურა და სწავლის შედეგები. ამის მიზეზი იყო ის, რომ წარდგენილი იყო ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტაციაში პროგრამის სახელწოდებად და შინაარსის აღწერად მითითებული იყო მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა პროგრამის სახელწოდების გადახედვა და პროგრამის სტრუქტურის, მათ შორის სავალდებულო და არჩევითი მოდულების რესტრუქტურიზაცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა განიხილა და გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები: (1) გადამუშავდა სწავლის შედეგები; (2) მკაფიოდ განისაზღვრა მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებული სწავლის შედეგები; (3) განახლდა კურიკულუმის გეგმის რუკა; (4) გადაიხედა სამიზნე ნიშნულები; (5) პროგრამის სავალდებულო კომპონენტებად განისაზღვრა სასწავლო კურსი „მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები“, ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებული სხვა სასწავლო კურსები. ასევე შეიცვალა პროგრამის სახელწოდება. პროგრამას შეეცვალა სახელწოდება „მულტიმედიური ჟურნალისტიკა“ და ეწოდა „მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია“, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს პროგრამის შინაარსობრივ და ინტერდისციპლინურ ხასიათს.

2026 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ნიუვიჭენ უნივერსიტეტმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა საკმარისი ღონისძიებები გაატარეს ხელახალი აკრედიტაციის განაცხადის მხარდასაჭერად.

III. როგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**მეტწილად შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**აირჩიეთ შესაბამისი**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**აირჩიეთ შესაბამისი**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**

5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია" მიეკუთვნება სოციალურ მეცნიერებათა ფართო სფეროს და დეტალურ სფეროში კლასიფიცირებულია როგორც (0321) ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა. UNESCO-ს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (ISCED-F-2013, ISCED-Foet-2013) თანახმად, აღნიშნული სფერო მოიცავს „ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს შემადგენელ ნაწილს". ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის (ამბის) შინაარსთან."

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს აკრედიტაციისთვის თავდაპირველად წარდგენილ განაცხადში „პროგრამის მიზნების“ კომპონენტი შეფასდა, როგორც "სრული შესაბამისობა".

პროგრამის გადამუშავებისას პროგრამის მიზნებში განხორციელდა გარკვეული უმნიშვნელო ცვლილებები, თუმცა ეს ცვლილებები უფრო მეტად მიზნების დაზუსტებასა და მკაფიოდ წარმოჩენას ემსახურებოდა, ვიდრე პროგრამის მიმართულების ცვლილებას. 2024 წლის პროგრამის მიზნები ითვალისწინებდა კურსდამთავრებულებისთვის მულტიმედიური ჟურნალისტიკის სფეროს პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი ფართო ცოდნისა და უნარების განვითარებას; დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტის როლისა და მისიის განსაზღვრას; აგრეთვე სტუდენტებში თვითშეფასების ჩამოყალიბებისა და უწყვეტი განვითარებისათვის აუცილებელი საფუძვლის შექმნას. 2026 წლის ამ განაცხადში ეს მიზნები ოდნავ შეიცვალა. 2026 წლის განაცხადში პროგრამის მიზნები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1. მისცეს კურსდამთავრებულს, პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი ფართო ცოდნა და უნარები პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად მედიაკომუნიკაციის სფეროში;

2. გამოკვეთოს მედიისა და კომუნიკაციების სპეციალისტის როლი და მისია; დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვადასხვა ციფრული პლატფორმის შესაბამისი ეთიკური ნორმებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა;

3. განუვითაროს თვითშეფასებისა და მუდმივ თვითგანვითარებაზე ზრუნვის უნარი.

პირველ მიზანში განხორციელდა მცირე ცვლილება - კერძოდ, გაძლიერდა აქცენტი პროგრამის პრაქტიკულ მიმართულებაზე, რაც ხაზს უსვამს პრაქტიკული ამოცანებისა და უნარების განვითარების მნიშვნელობას. მიზანი 2 უცვლელი დარჩა. მესამე მიზანში განხორციელებულია მცირე ცვლილება: სტუდენტებში თვითშეფასების განვითარების ნაცვლად აქცენტი გადატანილია მათი თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარის განვითარებაზე. არცერთი ეს ცვლილება არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით ცვლილებად.

პროგრამა ასევე სრულ შესაბამისობაშია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიულ პოლიტიკასთან, რომლის მიზანია „ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით“. როგორც თვითშეფასებაშია ნათქვამი, "უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ". ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ასევე იცავს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, რაც ასახულია წარმოდგენილი პროგრამის ღირებულებებშიც. ეს ღირებულებებია: თანამშრომლობა, შემოქმედებითობა პრობლემის გადაჭრისას, მრავალფეროვნება, თანასწორობა, ეთიკური ლიდერობა, პროფესიონალიზმი, სხვა მნიშვნელოვან პრინციპებთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ეს პროგრამა უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეესაბამება.

უნივერსიტეტის ინფორმაციით, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების აქტუალობისა და შრომის ბაზრის ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები. პროგრამა განსაკუთრებით კარგად პასუხობს საქართველოს მედია ინდუსტრიის საჭიროებებს, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მჭიდრო კავშირები მედია სექტორთან და თანამშრომლობის მემორანდუმები წამყვან მედია ორგანიზაციებთან, მათ შორის Euronews TV-თან.

ექსპერტთა ჯგუფი კვლავაც მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება სამართლებრივ და დარგობრივ მოთხოვნებს, არის რეალისტური და მიღწევადი, ხოლო პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში პროფესიული ჟურნალისტიკის განვითარებასა და დემოკრატიული პროცესების განმტკიცებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2026 და 2024 წლების თვითშეფასების ანგარიშები
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიეუბი
- შრომის ბაზრის ანგარიში
- უნივერსიტეტის მისია და მიზნები
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2024 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის სწავლის შედეგები და განიხილა ისინი პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების ფარგლებში.

წინა შეფასებისას დადგინდა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არასაკმარისად იყო წარმოდგენილი მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ფუნდამენტური თეორიები და საბაზისო ცოდნა. ეს ხარვეზად შეფასდა, ვინაიდან პროგრამა მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამად იყო წარმოდგენილი, თუმცა სასწავლო გეგმაში მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლების სავალდებულო კურსი არ იყო გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ პროგრამის განახლებულ სასწავლო გეგმაში ეს საკითხი ამჟამად გამოსწორებულია. მედია კომუნიკაციის საფუძვლების ბლოკში შემავალ სასწავლო კურსში „მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები“ (JUR002), მაგალითად, დამატებულია მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის თეორიის შესავალი, რომელიც სტუდენტებს სათანადო საფუძველს შეუქმნის სფეროს ძირითადი თეორიების, მეთოდებისა და პრინციპების შესასწავლად.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს სფეროთა ფართო სპექტრს და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთათვის იმ ცოდნისა და უნარების განვითარებას, რომლებიც მათ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული და კომპეტენტური საქმიანობისთვის ესაჭიროებათ. აღნიშნული სწავლის

შედეგები, ცოდნისა და გაცნობიერების მიმართულებით, მოიცავს როგორც მასობრივი კომუნიკაციის ძირითად პრინციპებს (როგორც ზემოთ აღინიშნა), ასევე ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოწვევები, ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების მოთხოვნები, აგრეთვე მედია კომუნიკაციის სფეროში გამოყენებული ძირითადი ცნებებისა და ტერმინოლოგიის ცოდნა და გააზრება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს პროგრამაში სამი ძირითადი კომპონენტის ინტეგრირებას, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტთა ცოდნისა და გაცნობიერების გაღრმავებას შემოქმედებითი უნარების, მედია-ვორქშოფებისა და თემატური ჟურნალისტიკის მიმართულებით. თითოეული მათგანი მიზნად ისახავს ისეთი სასწავლო მოდულების შეთავაზებას, რომლებიც ხელს უწყობს განსხვავებული უნარების განვითარებას - მულტიმედიურ პლატფორმებზე მუშაობისა და თხრობის თანამედროვე ფორმების ეფექტურად გამოყენებიდან დაწყებული, კონკრეტულ სფეროებში ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვების სპეციფიკის გაცნობიერებით დასრულებული.

სტუდენტს პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა ექნება განივითაროს ისეთი უნარები, როგორიცაა მულტიმედიის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა, მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მეთოდებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, ასევე აუდიტორიის ქცევის იდენტიფიცირება და შეფასება და ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელება. პროგრამის ყველა წარმატებულ კურსდამთავრებულს ექნება უნარი, გამოიყენოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოსაძიებლად, დასამუშავებლად და სისტემატიზაციისთვის, რაც თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტებს საშუალებას აძლევს განივითარონ ვიდეოგადაღების, ვიდეომასალის მონტაჟის, გრაფიკული დიზაინისა და რედაქტირების უნარები. ძირითადი კომპონენტი „მედია-ვორქშოფები“ სტუდენტებს აძლევს ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ტელე და რადიოჟურნალისტიკის, სოციალური მედიისთვის რეპორტაჟების მომზადების, პოდკასტინგის, დოკუმენტური ფოტოგრაფიისა და მობილური ჟურნალისტიკის მიმართულებით. ასევე უვითარებს მედია პროდუქტის შექმნისა და/ან მედია მეწარმეობისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს.

ზოგადად, სტუდენტები ისწავლიან საგანმანათლებლო გარემოში, რომელიც, მაღალი ხარისხის ტექნიკური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერით (იხ. ქვემოთ), ხელს უწყობს მათი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებას. პროგრამა მათ შესაძლებლობას აძლევს, გაიაზრონ თანამედროვე მედია კომუნიკაციის გამოწვევები, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, განავითარონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები და თანამედროვე საკომუნიკაციო ინდუსტრიაში იმოქმედონ ეთიკურად, კომპეტენტურად და თავდაჯერებულად.

პროგრამის სილაბუსებისა და პროგრამის რუკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბაკალავრო პროგრამა "მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია" შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ჩარჩოს მოთხოვნებს და უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული სივრცის (ბოლონიის პროცესის) ძირითად პრინციპებს. პროგრამის რუკებისა და სილაბუსების ანალიზის, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ისინი ასევე შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და სრულ თანხვედრაშია როგორც დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან, ისე მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან, რომელიც სტუდენტს პროგრამის წარმატებით

დასრულების შემთხვევაში მიენიჭება. ამასთანავე, კურსდამთავრებულებს ექნებათ მყარი საფუძველი სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამას მოისურვებენ.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვასთან. სილაბუსის ანალიზისა და 2024 წლის შეფასების შემდეგ მასში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მიღწევადია და ასევე შეესაბამება დარგის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულის სილაბუსები
- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა
- თვითშეფასების ანგარიში.
- 2024 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ" დებულების თანახმად, პროგრამას თან უნდა ახლდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ასევე მისი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების განსაზღვრის შემდეგ, უნდა შემუშავდეს ამ შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც მიუთითებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდს, შეფასების დროს, პერიოდს, შემფასებელს და სამიზნე ნიშნულს. შეფასების პერიოდულობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას სფეროს სპეციფიკა, განათლების დონე და სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგების შესაფასებლად ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს: სასწავლო პროცესზე დაკვირვებას და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას; თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შესაბამისი მეთოდების შერჩევას; სწავლის შედეგის მიღწევის დასადგენად სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას. პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის კურსებს შორის ურთიერთკავშირის გასაანალიზებლად. სასწავლო გეგმის რუკა მიუთითებს, თუ რომელი სწავლის შედეგებია მხარდაჭერილი კონკრეტული კურსებით და რა დონეზე: გაცნობა (1), გაღრმავება (2) და განმტკიცება (3). შესაძლებელია, ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა დასრულებულად ითვლება, როდესაც სწავლის შედეგები მესამე დონეზე განმტკიცდება. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში და/ ან მისი დასრულების შემდეგ.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად განისაზღვრება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდი და მისი მიღწევის მიზნობრივი ნიშნული. პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების პირდაპირი მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც დგინდება, თუ რამდენად მიაღწია სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგსმის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის სახით, უნივერსიტეტმა განსაზღვრა კონკრეტული შეფასების მეთოდი თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის - საბოლოო გამოცდა (საბოლოო გამოცდისთვის მინიჭებული მაქსიმალური ქულის პროცენტი). გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებას - მაქსიმალური შესაძლო ქულის პროცენტულ მაჩვენებელს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის სახით, უნივერსიტეტი იყენებს მათი სწავლის სფეროში დასაქმებული კურსდამთავრებულების პროცენტულ მაჩვენებელს, გამოკითხული დამსაქმებლების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებმაც გამოთქვეს კმაყოფილება კურსდამთავრებულების შესრულებით ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ან პარტნიორ დაწესებულებებში ჩატარებული სტაჟირების შემთხვევაში, და იმ მენტორების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც თვლიან, რომ სტუდენტმა აჩვენა შესაბამისი ცოდნა. მიზნობრივი ნიშნულების დადგენისას, უნივერსიტეტი განსაზღვრავს მათ როგორც სტუდენტების მოსწრების, ისე შეფასებისათვის. მაგ. „სტუდენტების სულ მცირე 60% აღწევს საბოლოო გამოცდისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის სულ მცირე 60%-ს“.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებების ანალიზისას, ფაქტობრივი მონაცემები შედარებულია მიზნობრივ ნიშნულებთან. დასაშვებია სამიზნე ნიშნულიდან მაჩვენებლის 15%-იანი გადახრა. იმ შემთხვევაში, თუ გადახრის მაჩვენებელი 15%-ზე მეტია, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ სწავლის შედეგების მიღწევაში გადახრის მაჩვენებელს 2-3 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოიკვეთოს ცვლილებების განხორციელება პროგრამის სტრუქტურაში, სასწავლო კურსების შინაარსში, შეფასების სისტემასა და კომპონენტებში, ასევე სამიზნე ნიშნულებში. სამიზნე ნიშნულიდან გადახრის მიზეზს და შესაბამისი ცვლილების შეტანის საჭიროებას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, კომპონენტის ხელმძღვანელთან და ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ. შედეგად მიიღება საჭირო ზომები, რაც შეიძლება გამოიხატოს პროგრამის სტრუქტურის, კურსების შინაარსის, სწავლების ან შეფასების მეთოდების შეცვლაში.

პროგრამას კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, რადგან განათლების სრული ციკლი ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგები არსებული მექანიზმის გამოყენებით ჯერ არ შეუფასებია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. ნიმუშის სახით, დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. ანგარიში მოიცავს სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის განმახორციელებლებისთვის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

2024 წელს აკრედიტაციის საბჭომ გამოსცა რეკომენდაცია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აუცილებლად უნდა განახლდეს პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირებისა და პროგრამის სტრუქტურის განახლების შემდეგ“. 2026 წლის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა, პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის შედეგების გადახედვის შედეგად, განაახლა სწავლის შედეგების შეფასების სქემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში (მონათესავე პროგრამისთვის)
- ადგილზე ვიზიტის ინტერვიუები:
    - თვითშეფასების გუნდთან,
    - ბაკალავრიატის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მონათესავე პროგრამის),

- პროგრამის ხელმძღვანელთან,
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,
- დამსაქმებლებთან.

- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- ექსპერტთა ჯგუფის 2024 წლის ანგარიში

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა იყო ერთ- ერთი მთავარი სფერო, რამაც განაპირობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2024 წელს მხოლოდ დროებითი, ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის რეკომენდაციის გამოტანა. ამგვარად, ამჟამინდელმა ჯგუფმა 2026 წლის აკრედიტაციის შეფასების დროს დიდი ყურადღება დაუთმო ამ ასპექტს.

2024 წლის ერთ- ერთი მთავარი რეკომენდაცია მოიცავდა პროგრამის სტრუქტურის გადახედვას, რომლის მიხედვითაც „საგნები, რომლებიც შეესაბამება ძირითადი სწავლის სფეროს, კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის კურსები, უნდა მიენიჭოს სავალდებულო და არა სავალდებულო არჩევითი სტატუსი“. გარდა ამისა, 2024 წლის შეფასების ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის საფუძველზე პროგრამას დაემატოს მასობრივი კომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის შესავალი, როგორც სავალდებულო საგანი პირველი კურსის პირველ სემესტრში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე ურჩია, რომ ამ კურსის სტუდენტებს შესთავაზონ ისეთი არჩევითი საგნები, როგორიცაა „ბრენდინგი, სარეკლამო განცხადებების შედგენა და შემოქმედებითი კომუნიკაცია“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში ბოლო დროს მომხდარი ცვლილება, რომლის მიხედვითაც ბაკალავრის ხარისხი მიენიჭება სამი წლის განმავლობაში მიღებული 180 კრედიტით და არა ოთხი წლის განმავლობაში მიღებული 240 კრედიტით. ჟურნალიზმისა და კომუნიკაციების ბაკალავრები არ წარმოადგენენ ამ ახალი შეზღუდვიდან გამონაკლისს. ამან გაართულა პროგრამისთვის არჩევითი საგნების დივერსიფიკაცია, ამავდროულად კი შემოკლებულ სავალდებულო კომპონენტში სხვადასხვა ელემენტების ინტეგრირება, როგორიცაა მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და პრინციპები.

გადამუშავებული პროგრამა ამჟამად არის როგორც მულტიმედია ჟურნალიზმის, ისე მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა. ეს უკანასკნელი ყოვლისმომცველი სფეროა, რომელიც გულისხმობს ისეთ საგნებს, როგორიცაა სტრატეგიული კომუნიკაციები (მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით და პოლიტიკური კომუნიკაციები), რეკლამირება, მარკეტინგი, საგამომცემლო საქმიანობა და კინორეჟისურა. საგნების ეს ფართო სპექტრი მოითხოვს სფეროს ყოვლისმომცველ გააზრებას[1]. გარდა ამისა, ბაკალავრის ხარისხს, რომლის დასახელებაშიც არის „კომუნიკაცია“, უნდა ჰქონდეს მასობრივი კომუნიკაციის თეორიებში მყარი საფუძველი და ასახავდეს მასობრივი კომუნიკაციის, როგორც სისტემის, გააზრებას.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში თითოეული საგანი ეფუძნება წინა გამოცდილებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემული წინაპირობები პროგრამის სტრუქტურაში არ არის ასახული. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პროგრამაში წინაპირობებიც ყოფილიყო მითითებული, რაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფდა სიცხადესა და გამჭვირვალობას. შესაბამისად, ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ წინაპირობების საკითხი მოგვარდეს და ისინი თავიდანვე იყოს შეტანილი პროგრამაში. თუმცა, უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის სექტემბრის ბოლო გადაწყვეტილებით უკვე მოწესრიგდა. უნივერსიტეტის განმარტებით, „შესაბამისი წინაპირობები ახლა უშუალოდ არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის პროგრამის ფარგლებში“. პოლიტიკის ამ ცვლილების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა რეკომენდაციის აკრედიტაციის დასკვნიდან ამოღებას.

ექსპერტთა ჯგუფი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, როგორც ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების, ასევე 2024 წლის ჯგუფის რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით. "მასობრივი კომუნიკაციის" კურსი პროგრამის დაწყებიდანვე შეტანილ იქნა სავალდებულო საგნად. ძირითად კომპონენტში - მედიაკომუნიკაციების საფუძვლებში, მოდულები მოიცავს "თანამედროვე მედიის შესავალს" (JUR003), "მასობრივი კომუნიკაციის

საფუძვლებს" (JUR002) და "მედიის ტენდენციებსა და თანამედროვე მიმართულებებს" (JUR008). ეს მოდულები სტუდენტებს აძლევს მასობრივი კომუნიკაციების სფეროს აუცილებელ ცოდნასა და გაგებას. პროგრამაში კრედიტების მცირე რაოდენობის მიუხედავად, არსებობს მოდულები, რომლებიც მოიცავს მასობრივი კომუნიკაციების სფეროს უფრო ფართო კონცეპტუალიზაციას, მათ შორისაა "სტრატეგიულ კომუნიკაციები" (JUR004), "ხელოვნურ ინტელექტი" (JUR009), "გრაფიკული დიზაინი" (JUR102) და მედია მეწარმეობას (JUR101). ეს მოდულები ავითარებს უნარებსა და ცოდნას კომუნიკაციის სფეროებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული ჟურნალიზმთან.

ახლად შემოთავაზებული პროგრამა შემდეგნაირად არის სტრუქტურირებული:

- **ზოგადი კომპეტენციების კომპონენტი** – 30 კრედიტი, მათ შორის 18 სავალდებულო კრედიტი.
- **მედიაკომუნიკაციის საფუძვლები** – 60 კრედიტი.
- **უცხო ენაზე კომუნიკაციისა და დარგობრივი კომპეტენციების კომპონენტი** – 6 კრედიტი.
- **პროფილის განმსაზღვრელი ძირითადი მოდულები** – 72 კრედიტი:
  ა. შემოქმედებითი უნარები – 24 კრედიტი
  ბ. მედიასახელოსნოები – 24 კრედიტი
  გ. სფეროების გაშუქება - 24 კრედიტი
- **არჩევითი კომპონენტი** - 12 კრედიტი.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, პირველი ორი წლის განმავლობაში სტუდენტები გადიან კურსებს ზოგადი კომპეტენციებისა და მედიაკომუნიკაციის ძირითადი ბლოკებიდან. ზოგადი კომპეტენციების კურსების მიზანია სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, აკადემიური წერისა და შესავალი კვლევითი უნარების გამომუშავება, რითაც უზრუნველყოფილია მათი მზადყოფნა შემდგომი პროფესიული და აკადემიური განვითარებისათვის. სტუდენტები ეტაპობრივად ეცნობიან და იღრმავებენ ცოდნას მედიაკომუნიკაციის ფუნდამენტურ სფეროში. III- VI სემესტრებში სტუდენტები ირჩევენ კურსებს სამი შემოთავაზებული მოდულიდან. ამ მოდულებში დაჯგუფებული კურსები ფოკუსირებულია დარგის აქტუალურ საკითხებზე და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტული პროფესიული მიმართულებით, ამავდროულად განივითარონ ანალიტიკური და პრაქტიკული უნარები. ეს ეტაპი ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული ინტერესების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას და ქმნის საფუძველს შემდგომი სპეციალიზაციისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისთვის. VI სემესტრში სტუდენტები ასრულებენ საბოლოო პროექტს.

ახალი შემოთავაზებული პროგრამის სტრუქტურის განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ წინა აკრედიტაციის შეფასებიდან გამომდინარე ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებულია განახლებულ პროგრამაში. პროგრამა ამჟამად სწორად მოიცავს სავალდებულო და არჩევით მოდულებს, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის ინდუსტრიის, მათ შორის მულტიმედია ჟურნალიზმის, უფრო დაბალანსებულ წარმოჩენას გვთავაზობს. პროგრამა ხელახლა შეიქმნა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს ამჟამად მიაჩნია, რომ მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მის სათაურსა და შინაარსს და ლოგიკურად არის ორგანიზებული. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მოსალოდნელი

სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პედაგოგიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულის სილაბუსები
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის მისია და მიზნები
- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა
- ექსპერტთა ჯგუფის 2024 წლის საბოლოო ანგარიში

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სილაბუსების სახელწოდებები, ისევე როგორც მიზნები და ამოცანები, ლოგიკურია. თითოეული კურსის სწავლის შედეგები ადეკვატურად არის ჩამოყალიბებული და დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმის ფორმა, რომელშიც აღწერილია კურსის მიზნები, ამოცანები, სწავლის შედეგები, ყოველკვირეული სასწავლო გეგმა, სასწავლო ლიტერატურა და რესურსები, ასევე შეფასების ფორმა. უნივერსიტეტში ერთი ECTS კრედიტი 30 საათის ტოლია. კრედიტების რაოდენობის მიხედვით, კურსები დაყოფილის ექვს და თორმეტ ECTS საგნებად. ექვსი ECTS- იანი საგნების უმეტესობაში საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში სამი საათია - თუმცა რამდენიმე მოდულისთვის, როგორიცაა "ვიდეომონტაჟი" (JUR104) და "გრაფიკული დიზაინი" (JUR102), საკონტაქტო საათები კვირაში ექვსია, ხოლო 12 ECTS- იანი საგნების უმეტესობაში - კვირაში ოთხი საკონტაქტო საათია.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები დეტალურია და შეიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას ლექტორების, კრედიტებისა და სასწავლო დატვირთვის, კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შინაარსის, ძირითადი ლიტერატურის, სასწავლო მასალების, კურსების თანმიმდევრობისა და შეფასების მეთოდების შესახებ. სტუდენტებს პორტალის მეშვეობით წვდომა აქვთ სასწავლო გეგმებსა და მასალებზე. ლექტორი სემესტრის დასაწყისში ანახლებს სილაბუსს.

ხელახალი აკრედიტაციისთვის წარდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა შემუშავებულია როგორც მულტიმედია ჟურნალიზმის, ასევე კომუნიკაციის ასპექტების გათვალისწინებით. 2024 წლის შეფასებაში მხოლოდ ჟურნალიზმი იყო სათანადოდ მიწოდებული.

2024 წელს სასწავლო პროგრამების შეფასების ჯგუფის მიერ ჩატარებული შესწავლის დროს, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სილაბუსების ერთ ნაწილში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ ინგლისურენოვანი წიგნები და რესურსები იყო მითითებული. თუმცა, ზოგიერთი სილაბუსი შეიცავდა თემებს, რომელთათვისაც ლიტერატურა საერთოდ არ იყო მითითებული. სილაბუსების მნიშვნელოვან ნაწილში (მედია მეწარმეობა, სტრატეგიული კომუნიკაციები, გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება, დოკუმენტური ფოტოგრაფია, MOJO-მობილური ჟურნალიზმი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მედიაში, გრაფიკული დიზაინი) მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა იყო მითითებული. მართალია, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, თუმცა ინგლისურ ენაში B1- ზე მაღალი დონის ცოდნაა საჭირო ისეთი სფეროების აკადემიური ტექსტების წასაკითხად, როგორიცაა გარემოს დაცვა, კონფლიქტები, აუდიოვიზუალური თხრობა, საერთაშორისო ჟურნალიზმი, მედია მეწარმეობა და ა.შ. გარდა ამისა, ზოგიერთი სილაბუსის ყოველკვირეული სასწავლო გეგმა სასწავლო თემებს ჩამოტვლიდა ლიტერატურის გარეშე. აკრედიტაციის ჯგუფი მიიჩნევდა, რომ საგნის ლექტორებს უნდა უზრუნველეყოთ მოკლე საკითხავი ტექსტები ქართულ ენაზე, ე.წ. რიდერების ან ჰენდაუტების სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ვიზიტის დღეს ბიბლიოთეკა დირექტორის ავადმყოფობის გამო დაკეტილი იყო, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა არსებული წიგნების ნაწილი, ხოლო ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენლებმა დაარწმუნეს ჯგუფი, რომ უცხოურ წიგნებთან ერთად შეძენილი იყო ქართულენოვანი წიგნებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიუთითებს პროგრამაში სავარაუდოდ საკმარისი როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვანი რესურსების არსებობაზე, რადგან ეს ვერ გადამოწმდა ადგილზე ვიზიტის დროს, ჯგუფის რეკომენდაციაა, პროგრამის გუნდმა

უზრუნველყოს, რათა ყველა მოდულში სტუდენტებს მიეწოდოთ რიდერები ან ჰენდაუტები ქართულ ენაზე, ასევე წვდომა ჰქონდეთ შესაბამის ქართულენოვან ლიტერატურაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- სასწავლო გეგმის რუკა
- ინტერვიუების შედეგები.
- ექსპერტთა ჯგუფის 2024 წლის საბოლოო ანგარიში
- პროგრამის ხელმძღვანელის წიგნების რესურსების შემოწმება
- ხარისხის კულტურის კომიტეტის განაცხადი

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამისთვის ქართულ ენაზე გარკვეული რესურსები უკვე შეძენილი ან შემუშავებულია. თუმცა სასურველია, სწავლების განმახორციელებელმა გუნდმა უზრუნველყოს პროგრამისთვის საკმარისი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; სასურველია, პროგრამის თითოეული მოდულისთვის ხელმისაწვდომი იყოს ქართულენოვანი საკითხავი მასალა ან სასწავლო რესურსების კრებული (reader/handout)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაციაში ნათლად არის აღწერილი ჩარიცხვისთვის აუცილებელი მოთხოვნები და რეგულაციები. სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას იძენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების საფუძველზე. ჩარიცხვის წინაპირობაა კანონით დაშვებული სხვა პირობებიც.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტი პროგრამის დეტალებს აქვეყნებს თავის ვებსაიტზე და შეაქვს ინფორმაცია პროგრამის შესახე უმაღლესი განათლების პროგრამების კატალოგშიც.

„მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვებისათვის, აბიტურიენტებს უნდა ჰქონდეთ დასრულებული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტი და ფლობდნენ საჭირო დოკუმენტაციას. პროგრამაში ჩარიცხვისთვის აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიღება და ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 52).

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „მულტიმედიური ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია“
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუებიდან გამოტანილი დასკვნები

[რეკომენდაციები](#).

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას სასწავლო გეგმისა და კლასგარეშე აქტივობების სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით, როგორებიცაა: პრაქტიკული და თეორიული კურსების ხელმისაწვდომობა და ის ფაქტი, რომ პედაგოგიური პერსონალის წევრები ასევე წარმოადგენენ ამ სფეროს პრაქტიკოსებს.

სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი შემოქმედებითი/ შემსრულებლური და ტრანსფერული უნარების განვითარებისა და/ ან კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით, „მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები რამდენიმე საგნობრივი კურსის ფარგლებში („ვიდეოგრაფია“, „მეტყველების ოსტატობა“, „ვიდეომონტაჟი“, „MOJO – მობილური ჟურნალიზმი“, „ფოტოგრაფია“, „პოდკასტი“ და ა.შ.) ამზადებენ პრაქტიკულ/ კრეატიულ ვიდეო პროდუქტებს.

ამგვარად, ვინაიდან პროგრამა სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად არის შექმნილი, მიზანშეწონილი იქნებოდა, პროგრამის სასწავლო გეგმას დამატებოდა სტაჟირების კურსი, სულ მცირე, არჩევითი სტატუსით. ეს კიდევ უფრო გააძლიერებდა კავშირს ინდუსტრიასთან, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტმა სხვადასხვა ორგანიზაციასთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმები.

„მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის“ პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ERASMUS+ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში, თუმცა, რადგან ეს პროგრამა ჯერ მხოლოდ პირველი წელია არსებობს, სტუდენტებს ჯერ მასში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საერთო ჯამში, საბაკალავრო პროგრამის ორგანიზატორების მიერ პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით გაწეული ძალისხმევა ადეკვატურია და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან
- შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან
- შეხვედრები სტუდენტებთან
- მემორანდუმები

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

სასურველია, პროგრამაში, სულ მცირე, არჩევითი კომპონენტის სახით ინტეგრირებული იყოს პრაქტიკა (სტაჟირება), რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის კავშირს ინდუსტრიასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ბაკალავრიატის სტუდენტებთან ინტერვიუებში ხაზგასმული იყო, თუ როგორ უწყობს უნივერსიტეტი ხელს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელმა გაითვალისწინა პირველი კურსის სტუდენტების თხოვნა და, სასწავლო გეგმის გარეთ, დაავალა მათ პროფესიონალური კამერების გამოყენებით სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე ვიდეო სიუჟეტების გადაღება.

პროგრამა ხელს უწყობს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას გამოყენებითი სწავლების მეთოდების საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია ინტერაქტიული სწავლების (მათ შორის, საკლასო დისკუსიების) და დამოუკიდებელი ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლების, მათ შორის პრაქტიკით სწავლის ნაზავზე. ეს მიიღწევა თეორიული კომპონენტების, პრობლემების გადაჭრისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინირებით. ყოველივე ეს მიზნად ისახავს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას, რაც მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია წარმატებული თვითრეალიზაციისა და შესაბამის აქტივობებში მონაწილეობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მიუხედავად წინაპირობების პროგრამის სილაბუსებში დაფიქსირებისა, ისინი პროგრამის სტრუქტურაში არ არის ასახული. ამ მხრივ, გაკეთდა რეკომენდაცია, რომ ეს ინტეგრირებული იქნას პროგრამის სტრუქტურაში (იხ. 1.4).

აკადემიური პერსონალის მიერ პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება იყენებს სწავლება- სწავლის სხვადასხვა ფორმას, როგორიცაა საველე გადაღება, პროფესიონალური აღჭურვილობით სწავლება, კომპიუტერული რესურსების ეფექტური გამოყენება, პროფესიული პრაქტიკის დემონსტრირება, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა.

სილაბუსებში განხილული მეთოდები შეესატყვისება განათლების შესაბამის დონეს და ეფექტურად არის დაკავშირებული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევასთან. სილაბუსებში სწავლება-სწავლების მეთოდები მრავალფეროვანი, ადეკვატური და სტუდენტზე ორიენტირებულია. პროგრამა ლოგიკურად არის სტრუქტურირებული და უნდა უზრუნველყოს როგორც კონკრეტული სასწავლო კურსების, ასევე მთლიანად პროგრამის ათვისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები სტუდენტებთან და პედაგოგიურ პერსონალთან
- კურსის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია“
- უნივერსიტეტის ვებსაიტი

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჭენ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტების შეფასების სისტემა შეესაბამება საკანონმდებლო რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.

უნივერსიტეტში დანერგილია 100- ქულიანი შეფასების სისტემა, სადაც 100 მაქსიმალური დადებითი ქულაა, ხოლო 51 მინიმალური გამსვლელი ქულა. დადებითი შეფასებები იყოფა ხუთ კატეგორიად: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60), ხოლო უარყოფითი შეფასებები შედგება ორი კატეგორიისაგან: FX (41-50) და F (0-40). დასკვნითი გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამიდან დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. გამოცდა მოიცავს/ შედგება წერილობითი ან პრაქტიკული ელემენტისგან. საბოლოო გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას (საერთო შეფასების 40%). უნივერსიტეტში მოქმედებს 100-ქულიანი (100%) შეფასების სისტემა.

სტუდენტს, რომელიც ვერ ჩააბარებს დასკვნით გამოცდას და მიიღებს FX შეფასებას, უფლება აქვს, იმავე სემესტრში, ძირითადი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ ხუთი დღის ვადაში, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა.

გამოცდების ჩატარებასა და შეფასებებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა გასაჩივრების პროცედურა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ თავიანთი შეფასებები სტუდენტის

პლატფორმის საშუალებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტურ ელექტრონულ პლატფორმას აქვს აპლიკაციის ველი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ რამდენიმე ტიპის მოთხოვნის წარდგენა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად ინფორმირებულობისა სააპელაციო პროცედურების შესახებ, მათ პირადად არასდროს გამოუცდიათ ეს პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია პლაგიარიზმის საწინააღმდეგო პროგრამა (Turnitin) და დამტკიცებულია პლაგიარიზმთან დაკავშირებული შესაბამისი რეგულაციები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს დაადგინა, რომ შეხვედრებში მონაწილე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ შეეძლოთ შესაბამისი განმარტებების მიცემა პლაგიარიზმის მნიშვნელობასა და უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. ამიტომ, რეკომენდებულია, რომ სასწავლო პროცესში გაუმჯობესდეს სტუდენტების ცნობიერება პლაგიარიზმისა და შესაბამისი რეგულაციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა და შესაბამისი რუბრიკები საკმარისად დეტალური არ არის, რამაც შესაძლოა სტუდენტებისთვის სირთულეები წარმოშვას მათი შეფასებების შესაბამისობისა და ობიექტურობის აღქმაში. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ საჭიროა მეტი დეტალები გამჭვირვალობის გასაძლიერებლად და სტუდენტების ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველსაყოფად, რათა გაიგონ, რას მოელიან მათგან და წარმატებით შეასრულონ დავალებები.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) შესახებ რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლება -სწავლის პროცესში ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი და ეთიკური გამოყენების ხელშეწყობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში დაემატოს შეფასების დეტალური რუბრიკები და ამომწურავი ინფორმაცია შეფასების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში. მაგისტრანტთათვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულ ინტერვიუებს. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სტუდენტების მხარდასაჭერად ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შექმნილი აქვს გარკვეული მექანიზმები. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი იღებენ ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების, ვაკანსიების და სხვა აქტივობების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ

ლექტორები და პროგრამის ხელმძღვანელი აწვდიან რეკომენდაციებს და სთავაზობენ მხარდაჭერას სხვადასხვა ასპექტში.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ასრულებენ აკადემიურ რეგისტრაციას. ამ პლატფორმაზე მათ აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ სხვადასხვა ტიპის განაცხადი, მოითხოვონ სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ისარგებლონ სხვა ადმინისტრაციული სერვისებით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსებსა და ლექტორებს. გამოკითხვა ნებაყოფლობითი და ანონიმურია.

როგორც ჩანს, უნივერსიტეტს აქვს საკმარისი სტუდენტური სივრცეები, ასევე აუდიტორიები და სტუდია, რომელსაც სტუდენტები იყენებენ სასწავლო კურსების ფარგლებში. სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, ლექტორები მათ სთავაზობენ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

საკონსულტაციო საათებზე საუბრისას სტუდენტებმა განმარტეს, რომ მათთვის გამოყოფილია კონკრეტული დრო პროგრამის ხელმძღვანელთან შესახვედრად, რათა დააზუსტონ და განიხილონ სხვადასხვა საკითხი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მიუხედავად ცალკეული კურსების ფარგლებში კონსულტაციებისთვის კონკრეტული დროის ოფიციალურად მიუთითებლობისა, ლექტორები ყოველთვის მზად არიან დახმარებისა და რჩევების მისაცემად. მათ დასძინეს, რომ სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო, ლექტორებთან კომუნიკაცია ძალიან მარტივია.

მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური შეთანხმებები დღემდე სათანადოდ მუშაობს, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყოს კონკრეტული საკონსულტაციო საათები, რათა სტუდენტებმა საჭიროების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი უკუკავშირი და გზამკვლევობა. ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ ეს უნდა იყოს შეთავაზებული, როგორც მექანიზმი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში სტუდენტების გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს საჭიროებისამებრ აწვდის საჭირო ინფორმაციასა დაუწევს დახმარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კონსულტირებისა და ადვოკატირების ოფისი, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეული. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტური საბჭო (თვითმმართველობა), რომელიც ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განსავითარებლად

- სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყოს კონკრეტული საკონსულტაციო საათები, რაც სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უკუკავშირისა და კონსულტაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აღჭურვილია საჭირო უნარებითა და ცოდნით, მოქმედი კანონმდებლობისა და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მისიის თანახმად, უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდებს საზოგადოების სასიკეთოდ გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რაც თანაბრად ეხება როგორც სტუდენტებს, ისე დასაქმებულ პერსონალს. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მე-17 მუხლის შესაბამისად, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერ პირს უფლება აქვს წამოაყენოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან მასში ცვლილებების შეტანის ინიციატივა.

პროგრამის განმახორციებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ უფლებებს, მოვალეობებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას: პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალს აქვს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამოსამუშავებლად საჭირო კომპეტენციები, რაც განისაღვრება მათი აკადემიური კვალიფიკაციით, სამეცნიერო შრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს რომ პერსონალის მხოლოდ სამი წევრი (ყველა პროფესორი) ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PhD) დარგობრივი მიმართულებით. მიუხედავად იმისა რომ ეს საკმარისია პროგრამის ამ საწყისი ეტაპისთვის, ჯგუფი გასცემს რჩევას (და არა რეკომენდაციას), რომ პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის მას დაემატოს მეტი აკადემიური პერსონალი,

რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი დარგობრივი მიმართულებით. აღნიშნულს ხაზი უნდა გაესვას მომავალში პერსონალის შერჩევისას, ასევე წახალისდეს პროგრამაში უკვე ჩართულ პირებს შორის, თუმცა ეს უკვე გრძელვადიანი გადაწყვეტილებაა.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში (NVU), დანერგილია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა. პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება აკადემიური წლისთვის და მას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. დატვირთის სქემის კომპონენტების ჩამონათვალსა და მოცულობას სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სასწავლო საქმიანობა მოიცავს სალექციო დატვირთვას, ლექციების მომზადებასა და ცოდნის შეფასების კომპონენტებს, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას ან ცოდნის სხვაგვარ შეფასებას; ასევე შეიძლება მოიცავდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების ან პროგრამის ცალკეული კომპონენტების შემუშავებას, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს: თარგმნას, რედაქტირებას, უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული პუბლიკაციების მომზადებას, საგრანტო პროექტების მომზადებას, კვლევითი პროექტების განხორციელებას; კვლევაში მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართვას, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას ან საკონფერენციო მოხსენებების მომზადებას. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება და გამოცემა შეიძლება განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ, ერთი სემესტრის განმავლობაში, სასწავლო პროცესისგან გათავისუფლების ფორმატში (მკვლევრის სტატუსით დასაქმება).

საბაკალავრო პროგრამას ჰყავს კვალიფიკაციური ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შესამუშავებლად საჭირო ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდ არის ჩართული როგორც პროგრამის შემუშავებაში, ასევე მის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციული რესურსით. ჩართულია შემდეგი ადმინისტრაციული პერსონალი: სკოლის დეკანი, სასწავლო პროცესის მენეჯერები და პროგრამის ხელმძღვანელი. სკოლის გარდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი რაოდენობისა და კომპეტენციის ადმინისტრაციული რესურსით.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას კვალიფიკაციური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საკმარისი რაოდენობით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**17**	**7**	**3**	**12**
- პროფესორი	7	3	3	
- ასოცირებული პროფესორი	10	5	-	
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	
- ასისტენტი	-	-	-	
მოწვეული პერსონალი	20	17	-	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნუსხა კურსის/კურსების მითითებით (დანართი
- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები) (სწავლებაში ჩართული პირების პირადი საქმეები, სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები).
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- კვლევითი კომიტეტის სამოქმედო გეგმა.
- პერსონალის სემესტრული დატვირთვა 31.
- ბრძანება "აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ".
- შიდა რეგულაციები;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- თვითშეფასების ანგარიში

[5]ძირითადი
სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე
პერსონალი

- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების უფრო მეტი აკადემიური პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა.	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იყენებს კარიერული განვითარების ინდივიდუალურ მოდელს, რომელიც ეფუძნება პერსონალური განვითარების გეგმებს (PDP) თითოეული თანამშრომლის თვითრეალიზაციისთვის საჭირო უნარების გამოვლენისა და განვითარების მიზნით. პერსონალური განვითარების გეგმის (PDP) პროცესი აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს საშუალებას აძლევს გაანალიზონ საკუთარი კომპეტენციები და შეიტანონ კონკრეტული ცვლილებები პროფესიული განვითარების დაგეგმვაში. პერსონალის განვითარების დეპარტამენტი აფასებს პროგრესს, საჭიროებისამებრ ასწორებს გეგმებს და გასაუბრებების საფუძველზე უზრუნველყოფს პერსონალის ინდივიდუალურ მხარდაჭერას, კონფიდენციალურობის პრინციპის მკაცრი დაცვით. პერსონალური განვითარების დაგეგმვა, ინდივიდუალური უკუკავშირის ანალიზის ჩათვლით, უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის წახალისების რეგულაციები, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის ხედვას კვლევის განვითარების შესახებ, ისევე როგორც მის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, როგორებიცაა ინტერნაციონალიზაცია, ინტერდისციპლინურობა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. რეგულაციები ადგენს კვლევებში მონაწილეობის წამახალისებელ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება უნივერსიტეტის საზოგადოების ფართო წრისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი რეგულარულად ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა (ვორქშოფებს) და შეხვედრებს ქართველ და საერთაშორისო პროფესორებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლებაში ჩართული პირების პირადი საქმეები, სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები.
- პერსონალის განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება

- კვლევითი კომიტეტის სამოქმედო გეგმა.
- კვლევითი პროექტების დაფინანსების სქემა და თანდართული დოკუმენტები.
- კვლევითი პროექტების კონკურსი.
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუების შედეგი.

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი ხორციელდება უნივერსიტეტის კამპუსში, სადაც

აუდიტორიები სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესისთვის, ასევე უზრუნველყოფილია ფორმატი პტაქტიკული სამუშაოებისა და სემინარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფში მონაწილე ექსპერტთა აზრით პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს მატერიალური ინფრასტრუქტურა - მედია სტუდია, პროფესიონალური ვიდეო და ფოტო კამერები, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ექსპერთტა ჯგუფი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ამ მაღალ დონეს საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევს.

უნივერსიტეტის კამპუსები უზრუნნველყოფს კომფორტულ სასწავლო გარემოს, მათ შორის ოთახებს ჯგუფური მუშაობისთვის, ასევე სივრცეებს თანამშრომლობისა და დასვენებისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია სწავლების პროცესის მხარდასაჭერად საჭირო საშუალებებით. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში და უზრუნველყოფს წვდომას სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორებიცაა EBSCOhost, HeinOnline და ELSEVIER-ის ბაზები, ScienceDirect-ის, SciVal Finder-ის, Scopus-ისა და Mendeley-ს ჩათვლით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას Turnitin-ის პლათფორმის საშუალებით (თუმცა აღნიშნავს სტუდენტების მიერ პლაგიატის შესახებ ცნობიერების და ცოდნის ამაღლების საჭიროებას-იხ.2.4.) უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პეოცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შესაბამისი სასწავლო რესურსებით სრულად არჭურვილი აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსები:
- ხელშეკრულებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- ხელშეკრულებები შესყიდვების შესახებ, ინვოისები;
- Turnitin-ის ხელშეკრულება;
- კონსორციუმის ხელშეკრულება
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- ინტერვიუების შედეგი.

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დაგეგმილი ბიუჯეტი დაანგარიშებულია ყოველწლიურად 50 სტუდენტის მიღებაზე, წლიური სწავლის საფასური შეადგენს 3000 ლარს. ბიუჯეტი დაანგარიშებულია 3-წლიან პერიოდზე. დაგეგმილი ბიუჯეტი ითვალისწინებს მოგებას.

პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას ფასდება პროგრამის საჭიროებები, განისაზღვრება და გათვალისწინებულია პრიორიტეტული ხარჯები, ასევე მხედველობაში მიიღება პროგრამისა და სკოლის შემოსავლები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა.

ბიუჯეტში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების ხარჯები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამაზე წელიწადში 50 სტუდენტზე ნაკლები ჩაირიცხება, ხარჯები მაინც მართვადია; პროგრამის ბიუჯეტი მხარდაჭერილია როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტით და იფარება სკოლისა და უნივერსიტეტის შემოსავლით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბოლო ორი-სამი წმის განმავლობაში სტაბილური იყო, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა შეამცირა სწავლის საფასური. უნივერსიტეტს აქვს დივერსიფიცირებული

შემოსავლის წყაროები, მათ შორის შემოსავალი კომპანიებიდან, კვლევითი საქმიანობიდან, სხვადასხვა გრანტებიდან და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი
- პროგრამის ბიუჯეტი
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ადგილზე ვიზიტი ინტერვიუები:
  - თვითშეფასების ჯგუთან;
  - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მიმართულების/მსგავსი პროგრამის)
  - პროგრამის ხელმძღვანელთან;
  - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
  - დამსაქმებლებთან
  - თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

- არ არსებობს

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა](#)	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში (NVU) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, ისევე როგორც ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისობას ინსტიტუციურ სტრატეგიულ მიზნებთან და მუდმივად ვითარდება NVU-ს ხედვის მხარდასაჭერად (https://newvision.ge/en/page/1-vision/quality-assurance/). უნივერსიტეტის პერსონალის თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს და თავისი წვლილი შეაქვს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში. აკადემიური პერსონალი ზრუნავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. სტუდენტების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის კულტურის კომიტეტის (QCC) უკუკავშირის საფუძველზე ხდება სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება. NVU-ს სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიური და სამეცნიერო პროცესების გაუმჯობესებაში. სტუდენტთა გამოკითხვები და ფოკუსჯგუფები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს უნივერსიტეტის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით ხელი შეეწყოს ხარისხის უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტი, მუდმივი მონიტორინგისა და გაუმჯობესების პრინციპზე დაყრდნობით, პერმანენტულად ატარებს შეხვედრებსა და ვორქშოფებს მთელ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. PDCA ციკლის შესაბამისად, კომიტეტმა უზრუნველყო თვითშეფასების პროცესში ჩართული ყველა მხარის კოორდინაცია, დასახა კონკრეტული მიზნები და სამოქმედო გეგმა, გააკონტროლა შესრულების ხარისხი და შედეგების საფუძველზე განახორციელა შემდგომი კორექტირება. ხარისხის კულტურის კომიტეტი უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობას PDCA ციკლის საშუალებით.

PDCA სისტემა გამოიყენება უნივერსიტეტში ხარისხის გაუმჯობესებისა და საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. ხარისხის კულტურის კომიტეტში სკოლის წარმომადგენელი კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც ერთობლივი ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის კულტურის კომიტეტს. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის/სკოლის ხელმძღვანელობა იღებს შესაბამის

გადაწყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ აისახება პროგრამებისა და უნივერსიტეტის განვითარებაზე. ხარისხის კულტურის კომიტეტმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად აქტიურად იმუშავა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების განხორციელებაზე.

ხარისხის კულტურის კომიტეტმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების სისტემა, რომელიც რეგულარულად ხორციელდება. კომიტეტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე, რაც ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი სისტემის არსებობას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები განიხილება როგორც ცენტრალურ დონეზე, ისე შესაბამის სკოლებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. აღნიშნული პროცესები დასტურდება შესაბამისი ანგარიშებითა და შედეგებით.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების წესი“. დოკუმენტი არეგულირებს უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების მართვას, უნივერსიტეტის აკადემიური პატიოსნების პოლიტიკას, აკადემიური თანამდებობების დაკავებას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განვითარებას, მონიტორინგსა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდულ შეფასებას, ასევე უნივერსიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.

პროგრამის დაგეგმვა, დიზაინი და განვითარება არის მონაწილეობითი პროცესი და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხისა და ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. „სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების წესის“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში მონაწილეობენ: ა) სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი; ბ) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ასევე შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტუდენტების მოწვევა; გ) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები; დ) პოტენციური დამსაქმებლები; ე) სფეროს ექსპერტები და პრაქტიკოსები. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში ასევე მონაწილეობენ შემდეგი ორგანოს წარმომადგენლები: ა) სტუდენტური ცხოვრების კომიტეტი; გ) სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტი; დ) იურიდიული კომიტეტი და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; ე) ფინანსური და ოპერაციული კომიტეტი; ვ) ბიბლიოთეკა. პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულმა მხარეებმა ეს საკითხები ავტორიზაციის ვიზიტის დროს განიხილეს.

თვითშეფასების პროცესის წარმართვის, პროგრამისა და აკრედიტაციის პროცესისთვის შემდგომი დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი. თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდა პროგრამის ხელმძღვანელის, მედიისა და კომუნიკაციის სკოლის წარმომადგენლის (რომელიც არის უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრი), აკადემიური პერსონალის, სტუდენტისა და დამსაქმებლისგან. საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციისთვის წარსადგენი დანართების მომზადების მიზნით, თვითშეფასების ჯგუფში მოხდა პასუხისმგებლობების გადანაწილება. თვითშეფასების ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავისი წვლილი შეიტანა კომპეტენციის შესაბამის სფეროში. სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა სტრუქტურირებული შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან.

გარდა ამისა, ზოგიერთ კურსში უკეთესი იქნება უფრო ახალი და თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება (მაგალითად, სასწავლო კურსი „ვებ ტექნოლოგიები“ და სხვ.). ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში თვითშეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა/ ერთეულებმა ეფექტურად ჩაატარონ პროგრამისა და სილაბუსების სიღრმისეული ანალიზი, რათა გამოავლინონ და თავიდან აიცილონ ხარვეზები.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტი არ სთავაზობს ელექტრონულ ან დისტანციურ სწავლებას არცერთ თავის პროგრამაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტს არ შეუმუშავებია დისტანციური ან ელექტრონული სწავლების ფორმატში განხორციელებული სწავლა-სწავლების პროცესების შეფასების მეთოდოლოგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებსაიტი ადმინისტრაციული რეგულაციებისათვის ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტში Web-site of the administrative regulations at New Vision University Charter And Regulations | New Vision University
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების ანალიზი (2019-2024)
- ხარისხის შიდა შეფასების სემესტრული ანგარიში (2023-2024 გაზაფხული)
- სხვადასხვა სკოლისა და ადმინისტრაციული ერთეულის წლიური ანგარიშები
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვები
- სტუდენტური კმაყოფილების კვლევები
- ფოკუს-ჯგუფების ანგარიში

- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასების შედეგები
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები (მსგავსი/მიმართულების პროგრამები)
- ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტები
- ხარისხის კულტურის კომიტეტის ოქმები
- პროგრამის შეფასების დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება.
- შრომის ბაზრის კვლევა-საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე პოპულარული სპეციალობების კვლევა.
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ადგილზე ვიზიტი ინტერვიუები:
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მიმართულების/მსგავსი პროგრამის)
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
    - დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა/ერთეულებმა სისტემატურად და ეფექტიანად განახორციელონ პროგრამისა და სილაბუსების სიღრმისეული ანალიზი, რათა დროულად გამოავლინონ და თავიდან აიცილონ შესაძლო ხარვეზები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

უნივერსიტეტი პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (NCEQE) თვითშეფასების ანგარიშის სახით, დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. პროგრამებში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და შეაქვს შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი და ჩართული პერსონალი.

მულტიმედია ჟურნალიზმისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამა 2024 წლიდან იმყოფება პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1443755). პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა განიხილა და გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები: (1) ხელახლა ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები, (2) მკაფიოდ განისაზღვრა მასობრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებული შედეგები, (3) განახლდა კურიკულუმის რუკა, (4) გადაიხედა სამიზნე ნიშნულები (ბენჩმარკები), (5) სასწავლო კურსი „მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები“, მასობრივი კომუნიკაციის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა კურსებთან ერთად, გახდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტები. ასევე შეიცვალა პროგრამის დასახელება. „მულტიმედიური ჟურნალისტიკის“ სანაცვლოდ პროგრამას ეწოდა „მულტიმედია ჟურნალიზმი და კომუნიკაცია“, რამაც კიდევ უფრო გაუსვა ხაზი პროგრამის შინაარსობრივ და ინტერდისციპლინურ ხასიათს.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს გარე შეფასების შედეგებს. გამოყენებულ იქნა ადგილობრივი ექსპერტის (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) გარე კოლეგიალური შეფასება.

პროგრამის გარე შეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები აშშ-ის ABET ორგანიზაციიდან. პროგრამის შემუშავებამდე, პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მათთან რამდენიმე კონსულტაცია გაიარა 2024 და 2025 წლებში Zoom-შეხვედრების საშუალებით.

2026 წლის გაზაფხულზე, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ჩარჩოს შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა გადაიხედა მისი 240 კრედიტიდან 180 კრედიტამდე შემცირების მიზნით. კრედიტების რაოდენობის შემცირება ძირითადად მოხდა არჩევითი კურსებისა და თავისუფალი სასწავლო კურსების შემცირების ხარჯზე. გადამუშავებული პროგრამა, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, გაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (NCEQE) შეფასებისა და დამტკიცებისათვის. ცენტრმა ოფიციალურად აცნობა დაწესებულებას, რომ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია 180 კრედიტის ფარგლებში (წერილობითი ცნობა: 646941 01/06/2026).

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. გათვალისწინებულ იქნა დარგის სპეციალისტების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვისენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რეგულაციების ვებსაიტი Charter And Regulations | New Vision University
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაციები
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები (მსგავსი/მიმართულების პროგრამები)
- ხარისხის კულტურის კომიტეტის ოქმები
- პროგრამის შეფასების დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება.
- შრომის ბაზრის კვლევა-საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე პოპულარული სპეციალობების კვლევა.
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ადგილზე ვიზიტი ინტერვიუები:
    - თვითშეფასების ჯგუფთან;
    - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მიმართულების/მსგავსი პროგრამის)
    - პროგრამის ხელმძღვანელთან;
    - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
    - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
    - დამსაქმებლებთან

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების, ასევე პროგრამის კომპონენტების პერიოდული გადახედვის პროცესში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების მიხედვით on carrying out educational and research activities (მე-20 მუხლი), ყოველი აკადემიური წლის ბოლოს სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებლებმა გადახედონ თავიანთ სილაბუსებს, პროგრამის სტრუქტურას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს და ა.შ.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) საქმიანობის შეფასების სისტემა. კერძოდ: ყოველწლიურად ტარდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა პერსონალი ყოველწლიურად ავსებს კმაყოფილების კითხვარს, რომლის მონაცემებიც

გამოიყენება გაუმჯობესების დაგეგმვისთვის. უნივერსიტეტი აფასებს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობას. პერსონალის მეცნიერული პროდუქტიულობა Regulation on Encouragement of Research Activities Charter And Regulations | New Vision University . პერსონალის კვლევითი საქმიანობა ფასდება ყოველწლიურად.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზნით, სტუდენტების მიღწევების მონიტორინგი ხორციელდება თითოეული სემესტრის განმავლობაში ორჯერ: ა) შუალედური მიღწევების მონიტორინგი ადრეული დიაგნოსტიკისთვის, და ბ) საბოლოო მიღწევების/შეფასებების მონიტორინგი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. მონაცემების შეგროვება ხდება უნივერსიტეტის პორტალის მეშვეობით სტუდენტური სერვისების ცენტრისა და საგამოცდო ცენტრის მიერ. სკოლის საბჭოს მიერ ხდება ფინალური გამოცდების შედეგების გაანალიზება და განხილვა.

ცალკეული სასწავლო კომპონენტების შედეგების მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტმა დანერგა ადრეული დიაგნოსტიკის სისტემა. აღნიშნული სისტემა იძლევა შუალედური სწავლის შედეგების ანალიზის საშუალებას და უზრუნველყოფს ოპერატიულ ჩარევას, რაც ხელს უწყობს აკადემიური გამოწვევების დროულ გამოვლენასა და მოგვარებას. სემესტრის განმავლობაში, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს თითოეული კურსის შუალედური გამოცდების შედეგებს, რომელთა გაანალიზებაც შემდგომში ხდება სკოლის წარმომადგენლის მიერ ხარისხის კულტურის კომიტეტში ადრეული დიაგნოსტიკის პროცესის ფარგლებში. ანალიზის საფუძველზე, სკოლის წარმომადგენელი ხარისხის კულტურის კომიტეტიდან შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ამის შემდეგ სკოლა იღებს შესაბამის ზომებს კურსის განმახორციელებელთან (ლექტორთან) თანამშრომლობით, გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოსაფხვრელად. სემესტრის ბოლოს, ფინალური გამოცდების შედეგები ხდება გაანალიზება და განხილვა სკოლის საბჭოს სხდომაზე.

ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. კვლევა ტარდება სტრუქტურირებული კითხვარით, რომელიც სტუდენტებს ელექტრონულად ეგზავნებათ სტუდენტური პორტალის მეშვეობით. კვლევის შედეგად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებისგან იღებს მნიშვნელოვან უკუკავშირს შემდეგ საკითხებზე მათ დამოკიდებულებასა და გამოცდილებასთან დაკავშირებით: ა) საგანმანათლებლო პროგრამა; ბ) სასწავლო პროცესი; გ) უნივერსიტეტის მხარდაჭერა; დ) ადმინისტრაციის მხარდაჭერა; ე) ფინანსური საკითხები; ვ) ინფრასტრუქტურა; ზ) სტუდენტური ცხოვრება. სკოლის ადმინისტრაცია, ფინალური გამოცდების დასრულებამდე, პორტალის მეშვეობით სტუდენტებს უგზავნის კითხვარს მიმდინარე სემესტრში შეთავაზებული თითოეული კურსისთვის. კითხვარი დაყოფილია რამდენიმე თემატურ ბლოკად და მოიცავს კურსის, ლექტორისა და სკოლის ადმინისტრაციის შეფასებას. დეპარტამენტის უფროსი აფასებს დაქვემდებარებულ პირებს.

ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრებსა და სკოლის ადმინისტრაციას აქვთ წვდომა სტუდენტების მიერ შევსებულ კითხვარებზე. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს ქვს მექანიზმი, რათა აცნობოს სტუდენტებს იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა კითხვარების უკუკავშირის შედეგად – გამოკითხვის შედეგები განიხილება ხარისხის კულტურის კომიტეტში, რომლის შემადგენლობაშიც არის არჩეული სტუდენტების არანაკლებ ერთი წარმომადგენელი. გარდა ამისა, ინფორმაცია პროგრამებთან ან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ იტვირთება უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ პორტალზე. სკოლის ადმინისტრაციის ფარგლებში ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი პასუხისმგებელია მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ხარისხის კულტურის კომიტეტისა და სკოლის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ ინფორმირებაზე.

ხარისხის კულტურის კომიტეტი სისტემატურად ატარებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს შეაფასოს პროგრამის ეფექტიანობა დასაქმების პერსპექტივების თვალსაზრისით. ანალიზი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცებს. ხარისხის კულტურის კომიტეტი ასევე სისტემატიურად ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას სპეციალური კითხვარების გამოყენებით. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეთ განვითარებასა და მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან. კვლევის ძირითად მიზნებს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების აქტუალურობის შეფასება და იმ პროფესიული უნარებიდს თუ ცოდნის გამოვლენა, რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებულთა პროფესიული წარმატებისთვის.

უნივერსიტეტი აფასებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მომსახურების გაწევის ხარისხს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკმაყოფილების გამოკითხვების მეშვეობით. ასევე, ადმინისტრაციული/ორგანიზებული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობა ფასდება სტრატეგიული გეგმებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის ფარგლებში. ადმინისტრაციული პერსონალი ფასდება ყოველწლიურად, უშუალო ხელმძღვანელის მონაწილეობითა და პერსონალური განვითარების გეგმასთან მიმართებით. შედეგები გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციისა და ტრენინგის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაგეგმად. ადმინისტრაციული პროცესებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგებს განიხილავს ხარისხის კულტურის კომიტეტი.

სასწავლო პროცესის შეფასება საგნის/სასწავლო კურსის დონეზე მოიცავს ცალკეული კურსებისა და ინსტრუქტორების სეფასებას. პროგრამის პერსონალს აქვს წვდომა გამოკითხვის

შედეგებზე და საჭიროების სემთხვევაში, შეუძლია გადახედოს კურსის იმ კომპონენტებს, რომლებმაც სტუდენტებისგან დაბალი შეფასება მიიღო.

საქართველოსა და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა არსებული ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების/განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი უნივერსიტეტების გამოცდილება და ანალოგიური პროგრამები. შესაბამისად, შემუშავდა ბენჩმარკინგის დოკუმენტი.

უნივერსიტეტს აქვს პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების მექანიზმი და მისი განხორციელების დროში გაწერილი გეგმა, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტებსა და სამიზნე ნიშნულებს თითოეული შედეგის მიღწევისთვის. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შეფასების მეთოდები. თითოეული ინდივიდუალური სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია კონკრეტული პირდაპირი და/ან ირიბი შეფასების მეთოდი, მიღწევის გაზომვის სამიზნე ნიშნულთან ერთად.

ზემოაღნიშნული კომპლექსური კვლევის შედეგებისა და ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის კულტურის კომიტეტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტიანობას და სთავაზობს რეკომენდაციებსა და წინადადებებს პროგრამის პერსონალს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რეგულაციების ვებგვერდი Charter And Regulations | New Vision University
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების ანალიზი (2019-2024)
- ხარისხის შიდა შეფასების სემესტრული ანგარიში (2023-2024 გაზაფხული)
- სხვადასხვა სკოლისა და ადმინისტრაციული ერთეულის წლიური ანგარიშები
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვები
- სტუდენტური კმაყოფილების კვლევები
- ფოკუს-ჯგუფების ანგარიში
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასების შედეგები
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები (მსგავსი/მიმართულების პროგრამები)
- ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტები

- ხარისხის კულტურის კომიტეტის ოქმები
- პროგრამის შეფასების დოკუმენტები
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება.
- შრომის ბაზრის კვლევა- საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე პოპულარული სპეციალობების კვლევა
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსი
- ადგილზე ვიზიტი ინტერვიუები:
  - თვითშეფასების ჯგუფთან;
  - საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (მიმართულების/მსგავსი პროგრამის)
  - პროგრამის ხელმძღვანელთან;
  - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
  - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
  - დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები.

- არ არსებობს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არსებობს

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია